

ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლის მექანიზმის ამოქმედება პარლამენტის მიერ დაზარალებულის სტატუსის სამართლებრივი და პრაქტიკული მოწესრიგების მიზნით

პრობლემის არსი

2019 წლის ივნისის საპროტესტო აქციებს, რომელიც პარლამენტის წინ გაიმართა რუსეთის ღუმის დეპუტატის, სერგეი გავერილოვის საქართველოს პარლამენტში ვიზიტის საპასუხოდ, არაერთი ადამიანის დაზარალება მოჰყვა. არაერთმა ადამიანმა პოლიციელთა მიერ საპროტესტო აქციის შედეგად მიიღო ჯანმრთელობის სხვა და სხვა ხარისხის დაზიანება. მათ შორის, თვალი დაკარგა ორმა ადამიანმა. ფიზიკურად დაზარალებული პირებისთვის დაწყებული გამოძების ფარგლებში დაზარალებულის საპროტესტო სტატუსის მინიჭება აღმოჩნდა პრობლემა, რამდენადაც არაერთ ადამიანს, მათ შორის იმ პირებსაც კი, ვინც თვალი დაკარგეს აქციების დაშლის დროს, დაგვიანებთ მიენიჭა დაზარალებულის სტატუსი, არაერთ სხვას კი – არ მინიჭებია.

პროკურატურის განმარტებით, დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გაჭიანურება საკანონმდებლო მოცემულობიდან გამომდინარეობდა. საკანონმდებლო ხარვეზზე კი, როგორც პრობლემის მიზეზზე, მეორე მხრივ, არცერთ ადამიანის უფლებათა დამცველ დაინტერესებულ პირს არ მიუთითებია. პრაქტიკულად, დადგა კანონის აღსრულების პრობლემა, რომლის მიზეზიც უცნობია. იმ ფონზე, როდესაც საქართველო უკვე საპარლამენტო დემოკრატიის ქვეყანაა, პარლამენტის დაგვირთვა ბევრად მაღალია და მისი როლი ნორმატიული აქტების იმპლემენტაციის კუთხით გაორმაგებულია.

ასეთ ვითარებაში, როდესაც კანონის იმპლემენტაცია ვერ ხორციელდება, საქართველოს პარლამენტმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული – ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლის მექანიზმი, რომლის გამოყენებაც მან ბოლო პიეროდში დაიწყო ცალკეულ შემთხვევებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შეჯამების შედეგად გამოვლინდა, რომ 1. დაზარალებულის სტატუსის მინიჭება პრაქტიკაში ეფექტიანი და ღირსეული არ არის; 2. ხარვეზების წარმოშობის მიზეზი დადგენილი არ არის. 3. შესაძლოა ეს იყოს პრაქტიკის, ან სამართლებრივი პრობლემა. 4. პარლამენტმა ნორმატიული აქტის აღსრულების მექანიზმით, რომელიც მიმართულია კანონის აღსრულების მიზეზების იდენტიფიცირებაზე, შესაძლოა, ეფექტიანად გამოავლინოს და აღმოფხვრას დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრობლემა.

ფაქტობრივი მიმოხილვა

2019 წლის 20-21 ივნისს თბილისში პარლამენტის წინ შეკრებილი პროტესტი შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონოდ შეაფასა და შეკრების შესაწყვეტად იძულებითი ღონისძიებების გამოყენების გადაწყვეტილება მიიღო.¹

ოფიციალური მონაცემებით, აქციის დაშლის შედეგად, 20-21 ივნისს 275 პირი დაზარალდა, მათ შორის – 187 სამოქალაქო პირი, 15 ქურნალისტი (სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციით, დაზარალებულ ქურნალისტთა რიცხვი ოცდათორმეგია) და შინაგან საქმეთა სამინისტროს 73 თანამშრომელი². მიყენებული დაზიანებების გამო ქირურგიული ჩარევა 28 პირს დასჭირდა. მათ შორის, ოფთალმოლოგიური ოპერაცია ჩატარდა 8-ს, ხოლო ნეიროქირურგიული – 4 პირს. დადასტურებულია, რომ გრაემის შედეგად 2-მა სამოქალაქო პირმა ცალი თვალი დაკარგა, ასევე, რამდენიმე დაზარალებულს მნიშვნელოვნად დაუზიანდა მხედველობა.³

საქართველოს მთავარმა პროკურატურამ გამოძიება დაიწყო 20 ივნისის აქციის დაშლის დროს სამართალდამცავების მხრიდან შესაძლო უფლებამოსილების გადაშეცდების ფაქტზე.⁴ გამოძიების ფარგლებში, თავდაპირველად, პროკურატურამ დაზარალებულის სტაგუსის მინიჭებაზე, უარი უთხრა იმ პირთა ნაწილს, რომლებმაც აქციის დაშლის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს, მათ შორის, მ. გ. - ს და გ. ს. - ს, რომლებმაც რებინის ცყვიის მოხვედრის შედეგად დაკარგეს თვალი.⁵

გენერალურ პროკურატურაში ამის საფუძველად მიუთითეს, რომ ექსპერტიზებმა უნდა დაადგინოს მ. გ. -ის და სხვათა მიერ მიღებული ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი, მისი გამომწვევი მიზეზები თუ საშუალებები. ასევე გამოძიება სწავლობს, თითოეულ ამ პირთან მიმართებით მოხდა თუ არა სპეციალური საშუალებების გამოყენება კანონით დადგენილი წესის დარღვევით.

პროკურატურის განმარტებით, დაზარალებულის სტაგუსის მისანიჭებლად არ არსებობს სამართლებრივი საფუძველი⁷. ერთი მხრივ, პროკურატურა ადასტურებს, რომ მითითებულმა პირებმა დაზიანება 20-21 ივნისს, საპროტესტო შეკრების შეწყვეტისას მიიღეს და საქმეზე მოპოვებული სამედიცინო დოკუმენტაცია/ინფორმაცია ადასტურებს ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტებს, თუმცა, მეორე მხრივ, ამას არ მიიჩნევს დაზარალებულის სტაგუსის მინიჭებისათვის საკმარის საფუძველად და ელოდება ექსპერტიზის შედეგებს. პროკურატურის განმარტებით, დაზარალებულის სტაგუსის მისანიჭებლად, მნიშვნელოვანია ექსპერტიზამ დაადგინოს ჯანმრთელობის დაზიანების ხარისხი და მექანიზმი, აქტიური სპეციალური საშუალებების გამოყენების კონკრეტული ვითარება და საფუძველები.⁸

¹ < <https://bit.ly/2qWFgRn> > ნანახია 16.12.2019

² < <https://bit.ly/2PpO9Ev> > ნანახია 16.12.2019

³ Id.

⁴ < <https://bit.ly/2PSMYEi> > ნანახია 16.12.2019

⁵ < <https://bit.ly/2YTCRDw> > ნანახია 16.12.2019

⁶ < <https://bit.ly/2M08wxU> > ნანახია 16.12.2019

⁷ Id.

⁸ < <https://bit.ly/2YzqCMi> >

პროკურატურის უარის კანონიერება სასამართლოს შეფასების საგანი გახდა. სასამართლომ განმარტა, რომ „ღაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელია, საქმეზე დასაბუთებული ვარაუდით დადგინდეს, ჩადენილია თუ არა დანაშაული და უშუალოდ, რა დანაშაულის ჩადენის შედეგად მიაღწა პირს რომელიმე სახის ზიანი“.⁹

გენერალურმა პროკურორმა მოცემულ გამოძიებაზე საუბრისას განაცხადა, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობით მ. გ.-ს ვერ მიენიჭება ღაზარალებულის სტატუსი.¹⁰ კერძოდ, მან განაცხადა, რომ „სასამართლომ გაითვალისწინა ის სამართლებრივი მექანიზმები და ის კანონმდებლობა, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს. შესაბამისად, მას არ მიენიჭა ღაზარალებულის სტატუსი. კანონმდებლობა თუ შეიცვლება ამ მიმართულებით, მაშინ მას მიენიჭება ღაზარალებულის სტატუსი. დღეს მოქმედი კანონმდებლობით, მას ვერ მიენიჭება ღაზარალებულის სტატუსი, აქედან გამომდინარე მას არ აქვს ეს სტატუსი“.¹¹

არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიმდინარე წლის 5 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე განიხილეს იმ პირთათვის ღაზარალებულის სტატუსის მინიჭების აუცილებლობა, რომლებმაც აქციის დაშლის შედეგად ჯანმრთელობის დაზიანება მიიღეს. აღნიშნულის შემდგომ გაავრცელეს განცხადება, სადაც ღაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ხარვეზი გამოიხატეს:

„არსებული კანონმდებლობა ცალსახად ადგენს ღაზარალებულის სტატუსის მინიჭების სამართლებრივ საფუძველს. ღაზარალებულად მიიჩნევა პირი, რომელსაც დანაშაულის შედეგად მიაღწა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი. შესაბამისად, როდესაც დგინდება, რომ დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია რაიმე ტიპის ზიანი, პროკურორი ვალდებულია, პირს ღაზარალებულის სტატუსი მიანიჭოს, მიუხედავად იმისა, უკვე იდენტიფიცირებულია თუ არა ის პირი, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა. 20-21 ივნისის საქმეებზე ცალსახად დგინდება, რომ ღაზარალებულთა ნაწილმა დაზიანებები რეზინის ტყვიის უკანონო გამოყენების შედეგად მიიღეს, მათ შორის, რეზინის ტყვიები გამოყენებული იყო ჟურნალისტების მისამართით, რომლებიც შემთხვევის ადგილზე მოვლენების გასაშუქებლად იყვნენ. ღაზარალებულთა ნაწილმა დაზიანებები მაშინ მიიღეს, როდესაც ისინი პოლიციის ეფექტური კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ. ყველა ჩამოთვლილი შემთხვევა შეიცავს დანაშაულის ამკარა ნიშნებს“, - ნათქვამია განცხადებაში.¹²

არსებული ამრთა სხვადასხვაობის ფონზე, 2019 წლის 23 ნოემბრამდე პროკურატურამ მხოლოდ ღაზარალებულთა ნაწილს მიანიჭა სტატუსი.¹³

20-21 ივნისის მოვლენებთან დაკავშირებით სამართლებრივი პროცესები დღემდე მიმდინარეობს.¹⁴ ამ დრომდე სასამართლოს, პროკურატურის (მათ შორის გენერალური

⁹ < <https://bit.ly/2YIbyMp> > ნანახია 13.12.2019
¹⁰ < <https://bit.ly/2RGAdzx> > ნანახია 11.12.2019
¹¹ < <https://bit.ly/2RGAdzx> > ნანახია 11.12.2019
¹² <https://bit.ly/2rFdn0B> ნანახია 16.12.2019
¹³ < <https://bit.ly/2rzXCYD> > ნანახია 11.12.2019
¹⁴ < <https://bit.ly/35pWOUN> > ნანახია 16.12.2019

პროკურორის), თუ არასამათავრობო ორგანიზაციების განცხადებები და პოზიციები ცხადჰყოფს პროცესების ხარვეზიანობას.¹⁵

ფაქტობრივი მოვლენების შეჯამებამ კი გამოკვეთა ის, რომ დაზარალებულის სტატუსის მინიჭების პრობლემა პრაქტიკაში არსებობს, თუმცა კონკრეტულად რა გარემოება არის აღნიშნული ხარვეზის მიზეზი, უცნობია.

სამართლებრივი მიმოხილვა

დაზარალებულის არსებული საპროცესო დეფინიცია

დაზარალებულის საპროცესო სტატუსის პრაქტიკაში გამოვლენილი პრობლემა უკავშირდება დღეს არსებულ საკანონმდებლო დეფინიციას, რომელიც, ცალსახად, შესაძლოა, არ აღგენდეს ათვლის წერტილს, თუ რა მომენტიდან შეიძლება პირი პროცესუალურად ჩაითვალოს დაზარალებულად:

საქმე იმაშია, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით, დაზარალებული არის სახელმწიფო, ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად¹⁶. როგორც ჩანს, დაზარალებულის სტატუსის მისანიჭებლად, საჭიროა კუმულაციურად ორი პირობა: ა) ზიანი; ბ) ზიანთან მიზეზობრივ კავშირში მყოფი დანაშაული;

საპროცესო კოდექსით, დაზარალებულის სტატუსს ანიჭებს პირს პროკურორი. პირის დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის სათანადო საფუძვლის არსებობისას პროკურორს გამოაქვს დადგენილება საკუთარი ინიციატივით ან ამ პირის მიერ შესაბამისი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში. თუ პროკურორმა განცხადება მისი შეტანიდან 48 საათის განმავლობაში არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, დაზარალებულად ან მის უფლებამონაცვლედ ცნობის მოთხოვნით ერთჯერადად მიმართოს ბემდგომ პროკურორს. თუ ბემდგომმა პროკურორმა საჩივარი არ დააკმაყოფილა, აღნიშნულ პირს უფლება აქვს, პროკურორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს გამოძიების ადგილის მიხედვით რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში.¹⁷

20-21 ივნისის საქმეზე, მ.გ.-ის დაზარალებულად ცნობისთვის, სასამართლომ განმარტა, რომ „დაზარალებულად ცნობისათვის აუცილებელი მტკიცებულებითი სტანდარტი და პირის ბრალდებულად ცნობის მტკიცებულებითი სტანდარტი თანაბარია, მაგრამ პირის დაზარალებულად ცნობა არ არის დამოკიდებული სისხლის სამართლის საქმეში კონკრეტული პირების სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის საკმარის მტკიცებულებათა მოპოვებასთან. თუმცა, აუცილებელია, საქმეზე დასაბუთებული ვარაუდით დადგინდეს, ჩადენილია თუ არა დანაშაული და უშუალოდ, რა დანაშაულის ჩადენის შედეგად მიადგა პირს რომელიმე სახის ზიანი“.¹⁸

¹⁵ < <https://bit.ly/2PeXpmF> > ნანახია 13.12.2019

¹⁶ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი

¹⁷ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 56-ე მუხლის მეხუთე ნაწილი.

¹⁸ < <https://bit.ly/2YIbyMp> > ნანახია 13.12.2019

სასამართლოს განვითარებული მსჯელობა შესაძლოა ჩამოყალიბებული პრაქტიკიდან მომდინარეობს, რაც წლების განმავლობაში დამკვიდრდა, ან კონკრეტული სახელმძღვანელო პრინციპებიდან მომდინარეობს, რაც სასამართლოსა და პროკურატურაში შემუშავდა. თუმცა, ცალსახაა, რომ იგი არცერთ შემთხვევაში არ ეფუძნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას.

საპროცესო კანონმდებლობა დაზარალებულის სტატუსის მინიჭებას არ უკავშირებს დანაშაულის არსებობის დასაბუთებულ ვარაუდსა და კონკრეტული ბრალდებულის არსებობას. საპროცესო კანონმდებლობა მხოლოდ დანაშაულის არსებობაზე უთითებს, როგორც სავალდებულო წინაპირობაზე. შესაბამისად, თუ კანონის სიგყვასიგყვითი განმარტებით ვიხელმძღვანელებთ, მაშინ შესაძლოა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტამდე კი არა, არამედ გამამტყუნებელი განაჩენის არსებობამდე მივიღეთ, როგორც დაზარალებულის სტატუსის მინიჭების საპროცესო სავალდებულო წინაპირობა.

ამასთან, შეიძლება ითქვას, რომ თეორიულად, შესაძლოა აბსურდულ მსჯელობამდე მიგვიყვანოს დაზარალებულის ცნების იმგვარმა განმარტებამ, როგორც ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არის გადმოცემული. დანაშაულის არსებობის წინაპირობა, სიგყვასიგყვითი განმარტებით, გულისხმობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის არსებობას. დაზარალებულის სტატუსის მნიშვნელოვანი ნაწილი კი გადაწყვეტილების მიღებამდე საპროცესო თუ საგამოძიებო მოქმედებებში ვლინდება. მსგავსი განმარტება კი საფუძველს გამოაცლიდა დაზარალებულის სტატუსის მნიშვნელობას და მის საპროცესო დანიშნულებას.

როგორც ვემოთ აღინიშნა, დანაშაულის დასაბუთებული ვარაუდის არსებობა დაზარალებულის სტატუსის მისანიჭებლად არ ეფუძნება კანონს, თუმცა, შესაძლოა, დამკვიდრებული პრაქტიკიდან მომდინარეობს. აღნიშნული საკითხის პრაქტიკაში გარკვევის მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციამ „დემოკრატიის ინდექსი – საქართველომ“ მიმართა საქართველოს პროკურატურას. წერილით მოთხოვნილ იქნა შემდეგი ინფორმაცია: დაზარალებულად ცნობის პრაქტიკის შესახებ, კერძოდ 2019 წლის პირველი ივნისიდან 2019 წლის პირველი სექტემბრის ჩათვლით რამდენ ძალადობრივი დანაშაულის ნიშნების შემცველ ფაქტზე დაიწყო გამოძიება, რომელზეც ღლედე არავის მიმართ ბრალდება არ არის წაყენებული; გემოაღნიშნული დაწყებული გამოძიებებიდან, რომლებზეც ბრალდება არავის მიმართ არ არის წაყენებული, რამდენ საქმეზე მიენიჭა პირს დაზარალებულის სტატუსი და რამდენ საქმეზე – არა; იმ საქმეებიდან, რომლებზეც დაზარალებულის სტატუსი არ აქვს მინიჭებული ფიზიკურ პირს, რამდენ საქმეზე დაინიშნა სასამართლო სამედციწიწო ექპერტიზა პირის მიმართ სხეულის დაზიანების დასადგენად და რამდენ საქმეზე იქნა მიღებული ექსპერტიზის დასკვნა¹⁹

აღნიშნულ წერილზე საპასუხოდ პროკურატურამ მიუთითა, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის აღრიცხვას საქართველოს გენერალური პროკურატურა არ აწარმოებს.²⁰

¹⁹ განცხადება N01/13-105700

²⁰ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2019 წლის 10 დეკემბრის N13/86318 წერილი

სხვა ქვეყნების პრაქტიკა

ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ იმ ქვეყნებში სადაც სისხლისსამართლებრივი დევნის დისკრეციულობისა და შეჯიბრებითობის პრინციპი მოქმედებს, დაზარალებულად ცნობის პროცედურები საგრძნობლად გამარტივებულია.

გაერთიანებული სამეფოს იუსტიციის სამინისტროს მიერ შექმნილ პრაქტიკულ სახელმძღვანელოში (code of practice) დანაშაულის მსხვერპლთათვის, აღნიშნულია რომ ყოველ პირს აქვს უფლება ისარგებლოს მსხვერპლის პერსონალური განაცხადის (Victim Personal Statement - VPS) გაკეთების შესაძლებლობით, თუ ის ჩათვლის რომ დანაშაულის შედეგად მიაღწა მაგერიალური ან მორალური ზიანი.²¹ შესაბამისად, ცხადია, რომ ამ ქვეყანაში ქართული კანონმდებლობისგან განსხვავებით, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისთვის მტკიცებულებათა კონკრეტული სტანდარტი არ არსებობს. მართლმსაჯულების სისტემა ორიენტირებულია მეტად დაზარალებულის უფლებათა დაცვის და მარეაბილიტირებელ პროცედურებზე, ვიდრე მათთვის სტატუსის მისანიჭებლად ბარიერების განსაზღვრისკენ.

VPS-ის საშუალებით პირი ხდება მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე. ყველას შეუძლია მიმართოს ადგილობრივ პოლიციას და წარადგინოს საკუთარი VPS. იგი აუცილებლად გადაეცემა პროკურატურას. აღსანიშნავია, რომ არც პოლიციის, არც პროკურატურისა და არც სასამართლოსგან რაიმე თანხმობა არ არის საჭირო დაზარალებულის სტატუსის მისაღებად.²²

მარტივი საპროცესო მიდგომა აქვს კანადასაც. კერძოდ, კანადის 2015 წლის 23 ივლისის დაზარალებულთა უფლებების ბილის თანახმად, სპეციალური ფორმის შევსებით ხდება მსხვერპლის სტატუსის მინიჭება. ეს პროცედურა მხოლოდ დაზარალებულის აქტივობაზეა დამოკიდებულია. მან უნდა შეავსოს ფორმა (Victim Impact Statement) და წარადგინოს იგი მსხვერპლთა მომსახურების სამსახურში, პროკურატურასა ან სასამართლოს სამდივნოში.²³

შევრთებული შტატების ალასკის შტატის საპროცესო კანონმდებლობით, იუსტიციის დეპარტამენტის ვებგვერდზე მითითებულია, რომ დაზარალებულის მხრიდან განაცხადის (Victim Impact Statement) წარდგენისთანავე ხდება მისი ჩაბმა პროცესში და მას ეძლევა უფლება სასამართლოს წინაშე წარდგეს ზეპირი დაკითხვის მოთხოვნით.²⁴

აღსანიშნავია, რომ განსხვავებით ზემოხსენებული ქვეყნების გამარტივებული წესებისა, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებით, საერთაშორისო გრიბუნალებს, რომლებიც ინდივიდუალურ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენენ, პროცედურული წინაპირობები აქვს განსაზღვრული დაზარალებულის სტატუსისთვის.

მაგალითად, საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტის და სხვა სამართლებრივი რეგულაციების მიხედვით, დაზარალებულის სტატუსის მინიჭება დაკავშირებულია გონივრულ საფუძველთან, რომ დანაშაული მოხდა, იმდენად, რამდენადაც,

²¹ < <https://bit.ly/35ewzAS> > ნანახია 11.12.2019

²² Id.

²³ < <https://bit.ly/38u63Wb> > ნანახია 11.12.2019

²⁴ < <https://bit.ly/2YCSa3e> > ნანახია 11.12.2019

თავად გამოძიების დაწყების საფუძველი არის სწორედ აღნიშნული *გონივრული საფუძველი*. განსახვავებით ქვეყნების კანონმდებლობებისგან, მაგალითად, საქართველოს საპროცესო კანონმდებლობისგან, რომის სტატუტით, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც დანაშაულის შესახებ ინფორმაციას შეიცავს, გამოძიების დაწყების საფუძველი არ არის. ამისთვის შესაბამისი მტკიცებითი სტანდარტია საჭირო, რომელსაც პროცედურულად გონივრული საფუძველი ჰქვია. აქედან გამომდინარე, რამდენადაც გამოძიების პროცესში ენიჭება პირს დაზარალებულის სტატუსი, მას გამოძიებისთვის საჭირო მტკიცების სტანდარტი უნდა ჰქონდეს წინაპირობად, რომ აღნიშნული სტატუსით ისარგებლოს²⁵.

ანალოგიური იყო მიდგომა ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის გრიბუნალის სამართალმემკვიდრე მექანიზმშიც (**United Nations International Residual Mechanism for Criminal Tribunals**), სადაც გამოძიების დაწყებისთვის წინაპირობად განსაზღვრულია *საკმარისი საფუძველი* და ამდენად, დაზარალებულის სტატუსის მინიჭებისთვის, რომელიც გამოძიების ეტაპზე შემოდის პროცესის მონაწილედ, საჭიროა აღნიშნული მტკიცებითი სტანდარტი – *საკმარისი საფუძველი* დანაშაულის გამოძიებისთვის.²⁶

ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლი – პარლამენტის მანდატი

პრაქტიკაში არსებული დაზარალებულის სტატუსის მინიჭებასთან დაკავშირებული პრობლემების საფუძვლიანი შემოწმებისა და აღმოფხვრის მიზნით, პარლამენტმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლის მექანიზმი (ნააკ), რამდენადაც ნააკ-ი პარლამენტის ხელში მნიშვნელოვანი ბერკეტია, რომლითაც იგი ახორციელებს როგორც საკანონმდებლო, აგრეთვე, საზედამხებელო ფუნქციებს.

კანონშემოქმედება და ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი ერთად ქმნიან ჯანსაღ პოლიტიკურ ციკლს, სადაც კანონის მიღება, მისი მონიტორინგი და ახალი ინიციატივების შემუშავება ერთმანეთს ენაცვლება.²⁷

სამწუხაროდ ქართულ პარლამენტარიზმში არ არის ნააკ-ის დამკვიდრებული პრაქტიკა. ნააკ-ის მექანიზმი გარკვეულწილად სიახლეს წარმოადგენს ქართულ საპარლამენტო ცხოვრებაში. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი არ მოიცავს ნააკ-ის განხორციელების დეტალურ პროცედურებს.²⁸

²⁵ საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს რომის სტატუტი, მუხლი 53 <<https://www.icc-cpi.int/resource-library/documents/rs-eng.pdf>>; საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს პროცედურებისა და მტკიცებულებების წესები, წესი 85, 89 <<https://www.icc-cpi.int/resource-library/Documents/RulesProcedureEvidenceEng.pdf#page=32>>;

²⁶ ყოფილი იუგოსლავიის საერთაშორისო სისხლის სამართლის გრიბუნალის 2009 წლის მდგომარეობით არსებული სტატუტის მე-18 მუხლი, <https://www.icty.org/x/file/Legal%20Library/Statute/statute_sept09_en.pdf>; 2019 წლის 26 ნოემბრის მდგომარეობით არსებული პრაქტიკული სახელმძღვანელო დაზარალებულთა და მოწმეთა მხარდაჭერისა და დაცვის პირობებზე, პირველი მუხლი, <https://www.irmct.org/sites/default/files/documents/191126-practice-direction-provision-support-victims-witnesses-mict-40_en.pdf>

²⁷ გზამკვლევი საქართველოს პარლამენტის კომიტეტების აპარატისთვის, UNDP, 2019 გვ 34-35.

²⁸ ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი (საპარლამენტო გზამკვლევი), USAID, 2019 გვ 3

საქართველოს პარლამენტში ნააკ-ი, ძირითადად, წინასწარ იგეგმება, და იგი სამოქმედო გეგმებში არის გაწერილი. შესაძლოა მიმდინარე პოლიტიკურმა, სამართლებრივმა, სოციალურმა თუ სხვა პროცესებმა წარმოშვას ნააკ-ის ჩაგარების რიგგარეშე საჭიროება.²⁹

ნააკ-ს კომიტეტი იზოლირებულად მხოლოდ აღმასრულებელ ორგანოებთან ერთად არ ახორციელებს. ამ პროცესში კომიტეტის ვალდებულებაა ჩართოს ყველა ის დაინტერესებული პირი, ვისი ამრიც მნიშვნელოვანი იქნება გადაწყვეტილების მისაღებად.

დაინტერესებული პირები შეიძლება იყვნენ სფეროს ექსპერტები და სპეციალისტები, აკადემიური და პროფესიული გაერთიანებების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ნებისმიერი სხვა პირი, ვისაც აქვს შესაძლებლობა, ნააკ-ის პროცესს საკუთარი დასაბუთებული მოსაზრებებით სარგებელი შესძინოს.³⁰

ნააკ-ის პროცესის შემადგენელი ნაწილია კონკრეტული შეკითხვების იდენტიფიცირება. დასმულ კითხვებზე შესაბამისად მიღებული პასუხების ანალიზის შედეგად განისაზღვრება ის ხარვეზი, რაც კანონის აღსრულებას ახასიათებს.

გემოალინიშნული ყველა კითხვის განხილვის შემდგომ, აშკარაა რომ პრაქტიკაში გამოიკვეთა ნორმატიული აქტის აღსრულების კონტროლის დაწყების საფუძველი.

პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა, სამოგალოების ჩართულობით, უნდა დაიწყო ნააკ-ი პროცედურა დაზარალებულის სტატუსის მინიჭების ეფექტიან აღსრულებასთან დაკავშირებით, რათა დაადგინოს: 1. დაზარალებულის სტატუსის მინიჭების შეფერხება, გაჭიანურება კანონის პრობლემა თუ პრაქტიკის; 2. თუ იგი არის კანონის პრობლემა, ცვლილებები/დამატებები შეიტანოს კანონში; 3. თუ არის პრაქტიკის პრობლემა, კონკრეტული რეკომენდაციები მისცეს პროკურატურას სახელმძღვანელო პრინციპებისა და პრაქტიკაში კონკრეტული მიმართულებების განსაზღვრის მიზნით.

რეკომენდაციები

„დემოკრატიის ინდექსი – საქართველო“ საქართველოს პარლამენტს მოუწოდებს დაიწყო ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში დაზარალებულის სტატუსის მინიჭების კონკრეტული ეტაპის განსაზღვრის მიზნით:

- გამოიკვლიოს დაზარალებულად ცნობის პრაქტიკა სასამართლოსა და პროკურატურაში, კერძოდ რა ეტაპზე და რა მტკიცებულებების არსებობისას ენიჭება პირს პრაქტიკაში დაზარალებულის სტატუსი;
- მოისმინოს გენერალური პროკურატურის, სახალხო დამცველის, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სხვა დაინტერესებული ორგანოების მოსაზრებები მოცემულ საკითხთან მიმართებით;
- საკითხის განხილვაში მოიწვიოს არასამთავრობო სექტორი და ყველა დაინტერესებული მხარე, რომელიც აქტიურად მონაწილეობს სისხლის

²⁹ Id.

³⁰ Id.

სამართალწარმოებაში და მუშაობს დაზარალებულთა/მსხვერპლთა უფლებების დაცვაზე;

- განიხილოს არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები, ანგარიშები და რეკომენდაციები;
- ჩართოს პროცესში დაინტერესებულ მხარედ ის პირები, რომლებიც დაზარალებულად ცნობას ითხოვდნენ 2019 წლის ივნისის აქციებში მიყენებული ზიანის შედეგად;
- დაიწყოს საკანონმდებლო ცვლილებების პროექტზე მუშაობა იმ შემთხვევაში, თუ გამოიკვეთება ხარვეზი არსებულ საკანონმდებლო რეგულაციაში.